ქუთაისისმუნიციალიტეტისმერის სამოქალაქომრჩეველთა საბჭო

ოქმი №2

ქალაქი ქუთაისი 24 ივლისი 2018 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტურიზმის ცენტრის დარბაზი

ქუთაისი, რუსთაველის ქუჩა #9 ა;

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი;

2. ინგა აბრამიძე-აკადემიური წრის წარმომადგენელი;

3. ქეთევან ბერძენიშვილი - არასამთავრობო ორგანიზაცია უფლებებისა და განათლებისათვის;

4. თეონა გოგიშვილი - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების რეგიონალური კოორდინატორი;

5. ომარ კიკვიძე-აკადემიური წრის წარმომადგენელი;

6. ლევან როხვაძე - თეატრალური საზოგადოება;

7. ღუტუშა კვანტალიანი - შპს „თბომშენის“ დირექტორი;

8. ბენია თხილავა - აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

9. თემურ ამყოლაძე - ჟურნალ განთიადის რედაქტორი;

10. გიორგი ოქროპილაშვილი - ა.წ.ს.უ. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;

11. მეგი ნიჟარაძე - შპს „სემირამიდას“ ხელმძღვანელი;

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 21 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 11წევრი, 10 წევრი არ ესწრებოდა სხვადასხვა მიზეზის გამო. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების 4.8 მუხლის თანახმად საბჭო არაგადაწყვეტილებაუნარიანია, რადგან მასში სიითი შემადგენლობის 2/3 მეტი წევრი არ მონაწილეობდა. შესაბამისად საბჭოს სხდომამ, საინფორმაციო შეხვედრის სახე მიიღო.

სხდომას უძღვებოდა: ნინო თვალთვაძე ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.

სხდომას ესწრებოდნენ: ზურაბ ხურციძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი.

მამუკა კუბლაშვილი - - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისმერისმრჩეველი.

ზაზა ჩხიკვაძე - ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი.

დღის წესრიგი

1. რეგისტრაცია

2. საბჭოს თავმჯდომარის არჩევა.

3. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა;

4. საბჭოს მდივნის არჩევა;

5. ტურიზმის ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენა;

6. ქალაქ ქუტაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების განხილვა;

მოისმინეს:

სხდომა გახსნა ქალბატონმა ნინო თვალთვაძემ და დამსწრე საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი. გამომდინარე იქედან, რომ მრჩეველთა საბჭოს დებულების 4.8 მუხლის თანახმად საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა 2/3. ამ შემთხვევაში საბჭოს სხდომას ესწრება 11 წევრი, რის გამოც საბჭო არ არის უფლებამოსილი მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება. ამდენად საბჭოს თავმჯდომარის, მოადგილის და მდივნის არჩევა ვერ მოხდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე დღევანდელი სხდომა არის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა, რომელმაც შეუძლია მოუსმინეოს მოწვეულ დამსწრეებს, რომლებიც წარმოადგენენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებს;

აზრი გამოთქვეს:

საბჭოს წევრებმა ინგა აბრამიძემ, ქეთი ბერძენიშვილმა, თეონა გოგიშვილმა, ნოდარ ჯიქიამ გაიზიარეს მომხსენებლის ნინო თვალთვაძის პოზიცია და აღნიშნეს, რომ საბჭოს თავმჯდომარის, მოადგილისა და მდივნის არჩევა მოხდეს საბჭოს მომდევნო სხდომაზე,

ხოლო დღეს მოუსმინოთ სხვა მომხსენებლებს, რომლებიც წარმოადგენენ ქალაქისთვის მნიშვნელოვან პროექტს.

მოისმინეს: მომხსენებლებმა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ხელმძღვანელმა ზაზა ჩხიკვაძემ, მერის მრჩევლებმა მამუკა კუბლაშვილმა და ზურაბ ხურციძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების ტექსტური და ქალაქის რუკის ელექტრონული ვერსია. ზაზა ჩხიკვაძემ დამსწრე საზოგადოებას მიაწოდეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დღეს მოქმედი წესი არ მოდის შესაბამისობაში მთავრობის დადგენილებასთან. ახალი წესის მიხედვით შეცვლილია ფუნქციური ზონები, მომზადებულია ელექტრონული რუკა, რომელიც გაუადვილებს მოქალაქეებს ურთიერთობას მერიის შესაბამის სამსახურთან და ქალაქის სამომავლო განვითარებას შეუწყობს ხელს. აღნიშნული წესი წარმოადგენს გენერალური გეგმის ფუნდამენტს, რომლის შემუშავება დამოკიდებული იქნება წარმოდგენილ დოკუმენტზე.

აზრი გამოთქვეს:

ნოდარ ჯიქიამ, ქეთი ბერძენიშვილმა, ლევან როხვაძე, ღუტუშა კვანტალიანმა, ბენია თხილავამ, თემურ ამყოლაძემ. მათი მოსაზრებით, ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტის განხილვა ადრეც მოხდა და თავდაპირველ ვერსიაში შეტანილია რიგი ცვლილებები, სასურველი იქნება დოკუმენტის ელექტრონული ვერსია გასაცნობად დაეგზავნოს საბჭოს წევრებს და განხილვა მოხდეს საბჭოს შემდეგ სხდომაზე, სადაც საბჭოს წევრები წარმოვადგენთ ჩვენს შენიშვნებსა და წინადადებებს პროექტთან დაკავშირებით.

საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საბჭოს მომდევნო სხდომა გაიმართოს 30 ივლისს ტურიზმის საკონფერენციო სხდომათა დარბაზში.

სხდომის მდივანი

ზურაბ ხურციძე,

მერის მრჩეველი